წერილის ნომერი: **18-01183043434**
თარიღი: **31/10/2018**
პინი: **2717**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა განიხილა, თქვენი 2018 წლის 30 ოქტომბრის #60-01183031767 წერილი და თანდართული დოკუმენტაცია (მოქალაქე თორნიკე დვალის AR1640407განცხადება, ექსპერტ გიორგი ტივაძის 2018 წლის 9 ოქტომბრის მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების საექსპერტო დასკვნა, ტოპოგრაფიული გეგმა, ფოტო-მასალა), რომლითაც იგი ითხოვს ქ. თბილისში, ზაჰესი, მშვიდობის ქუჩა N104; (ს.კ.:01.12.01.778; ს.კ.:72.12.01.781)(ს-1) ავტოსატრანსპორტო საშუალების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრის (III კლასი) განთავსების მიზნით, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების ეტაპზე, მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების საექსპერტო დასკვნასთან დაკავშირებით სამსახურის პოზიციის დაფიქსირებას.

გაცნობებთ, ვინაიდან წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს.კ.:72.12.01.781) განსათავსებელი საპროექტო ნაგებობის მშენებლობა ხორციელდება ისე, რომ მიწის ნაკვეთზე სრულად ნარჩუნდება ტერიტორიაზე არსებული 9 ძირი ხე-მცენარე (1 ძირი ატამი, 5 ძირი ვაზი, 1 ძირი ლეღვი, 1ძირი ვაშლი და 1 ძირი კაკალი), შესაბამისად, სამსახური გასცემს დადებით რეკომენდაციას მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცებასთან დაკავშირებით.

აქვე გაცნობებთ, რომ შერეული, მაღალპროდუქტიული კორომების ჩამოყალიბება ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების სავალდებულო წინაპირობაა. ამდენად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია გამწვანების პროექტის ფარგლებში, ერთი სახეობის მწვანე ნარგავების ნაცვლად, ტერიტორია გამწვანდეს შერეული ტიპის, როგორც წიწვოვანი ისე ფოთლოვანი ნარგავებით. ასევე, მაღალპროდუქტიული კორომების შექმნისა და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, სამსახური უპირატესობას ანიჭებს ხეების დარგვას ბუჩქებთან და ყვავილებთან მიმართებით. შესაბამისად, არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ეტაპზე, წარმოსადგენ გამწვანების პროექტში გასამწვანებელი მცენარეების რაოდენობა უნდა განისაზღვროს შემდეგი პროპორციით: 10-12 კვ. მეტრი 1 ძირი მცირე ზომის ან პირამიდული ვარჯის მქონე ხისთვის (მაგ. ირმის რქა, პირამიდული კვიპაროსი, ნეკერჩხალი (ლეკა) ბურთისებრი ფორმა და სხვა), ხოლო 20-25 კვ. მეტრი დანარჩენი წიწვოვანი და ასევე ფოთლოვანი ხეებისთვის; ამდენად, განმცხადებელმა გამწვანების პროექტში უნდა გაითვალისწინოს წიწვოვანი ანდა ფოთლოვანი ხეები (ფოთლოვანის დარგვის შემთხვევაში ნერგის სიმაღლე უნდა იყოს არანაკლებ 3.5 მეტრი, ხოლო, წიწვოვანის შემთხვევაში- არანაკლებ 3 მეტრი (ნერგის გარშემოწერილობა არანაკლებ- 14 სანტიმეტრი)).

ასევე მოგახსენებთ, რომ განმცხადებელმა დასარგავი ხე-მცენარეების სახეობა უნდა აარჩიოს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის #05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან.

აქვე დავძენთ, რომ განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს სამშენებლო ობიექტზე კ-3 კოეფიციენტის ათვისების გამწვანების პროექტის ძირითადი ასპექტებისა და პარამეტრების

ამსახველი ინფორმაცია (შესაბამისი ბანერის ესკიზი).

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი


პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი



თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი



პირობითი აღნიშვნები

- საპროექტო მიწის ნაკვეთი
- ფუნქციურ ზონებს შორის საზღვარი
- განაშენიანების რეგულირების ხაზი(შკანა ეზოსთვის)